საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/241 " 24 " ივლისი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 6 დეკემბრის №1/209 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 6 დეკემბრის №1/209 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესის“:

ა) პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის მართვასა და აღნიშნული სისტემით სარგებლობის საფასურის განსაზღვრას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.“;

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქმისწარმოება სასამართლოში შესაძლებელია დაიწყოს საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) მეშვეობით განცხადების ან სარჩელის შეტანის გზით. ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის მიზნით მომხმარებელმა უნდა შეავსოს ელექტრონულ სისტემაში არსებული მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადი, დაეთანხმოს ელექტრონული სისტემის გამოყენების პირობებს და გამოიყენოს ტელეფონზე მიღებული მომხმარებლის აქტივაციის ბმული. რეგისტრირებული მომხმარებელი პასუხისმგებელია ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაციის სისწორესა და უტყუარობაზე და ვალდებულია, მითითებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ასახოს ელექტრონულ სისტემაში განახლებული მონაცემები. ასეთი ცვლილების განუხორციელებლობით დამდგარ შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება რეგისტრირებულ მომხმარებელს.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2017 წლის 4 სექტემბრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი